საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №253/ნ
2012 წლის 24 დეკემბერი

ქ. თბილისი

,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

1. „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანების (სსმ III, 26.09.2005, №112, მუხ. 1233 სარეგისტრაციო კოდი 040.030.000.22.022.007.724):

ა) №2 დანართით გათვალისწინებულ ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ფარიზის საჯარო სკოლაში სწავლება განხორციელდეს აზერბაიჯანულ და ქართულ ენებზე;

ბ) №9 დანართით გათვალისწინებული საჯარო სკოლების თავის 146-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

146	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს – ქალაქ ბოლნისის საგანმანათლებლო რესურსცენტრი	ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ფარიზის საჯარო სკოლა	ქართული/აზერბაიჯანული	დაწ-საბ.	ქართული/აზერბაიჯანული

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **გიორგი მარგველაშვილი**